

პროფესიული მოდულის – „მეცნიერება“ გზამკვლევი

ავტორები: ილია მესტვირიშვილი
ნათია საღინაძე
მანანა ვარაზაშვილი
თეონა თიგიშვილი

სარჩევი

შესავალი -----

ფიზიკა -----

ქიმია -----

ბიოლოგია -----

გეოგრაფია -----

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევაში წარმოდგენილია მოდულაში „მეცნიერება“ მოცემული თემატიკის (შინაარსობრივი საკითხების) საფუძველზე სწავლა-სწავლების პროცესის აგების სარეკომენდაციო გზა. ეს გზა ორ მიმართულებად იყოფა: ერთია ძირითადი სასწავლო ერთეულების – თემების სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად საჭირო რეკომენდაციები, მეორე კი – კურსის ფარგლებში ცალკეული სასწავლო აქტივობების განხორციელების რეკომენდაციები.

თემატური ბლოკის ან/და თემის შეჯამება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა „მეცნიერების“ სწავლა-სწავლების პროცესში. შემაჯამებელმა კომპლექსურმა დავალებამ უნდა გამოვლინოს, ადასტურებს თუ არა პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი სწავლის შედეგებს კონკრეტული თემის ფარგლებში. მას მთავარი მნიშვნელობა აქვს სტუდენტის შეფასებისა და მისი პორტფოლიოსათვის მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, სასურველია შემაჯამებელი მუშაობა პედაგოგმა თემის/ თემატური ბლოკის სწავლების დაწყებისთანავე დაგეგმოს, მოამზადოს შემაჯამებელი აქტივობის საკითხები, შეფასების რუბრიკები და გააცნოს ისინი სტუდენტებს. თემის დამუშავება ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა და შემაჯამებელი აქტივობა ამ პროცესის ლოგიკურად დამასრულებელი „ბოლო აკორდი“ უნდა იყოს. თემატური ბლოკის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილები, დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებები, მაწავლებლის განმავითარებელი კომენტარები ხელს უნდა უწყობდეს და ამზადებდეს სტუდენტს ფინალური აქტივობის წარმატებით განხორციელებისთვის. ამრიგად, თემის/თემატური ბლოკის შეჯამება პედაგოგისა და სტუდენტებისათვის ის მთავარი ორიენტირია, რომლისკენაც უნდა მიმართონ საკუთარი ძალისხმევა და სწავლა-სწავლების პროცესი.